პროგრამის სახელწოდება: საინფორმაციო ტექნოლოგიები, Information Technology

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი მანანა ხაჩიძე,
ასოცირებული პროფესორი ზურაბ მოდებაძე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მეცნიერების მაგისტრი საინფორმაციო ტექნოლოგიებში, MS in Information Technologyes

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ნებისმიერი ხარისხის მქონე პირი, თუ მას აქვს სულ მცირე 10 ECTS კრედიტი უმაღლესი მათემატიკის დისციპლინებში და სულ მცირე 10 ECTS კრედიტი დაპროგრამების ენებში და რომელიც წარმატებით ჩააბარებს ერთიან ეროვნულ სამაგისტრო და სპეციალობაში გამოცდებს

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს ცოდნა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირეულ კომპონენტებში (მონაცემთა ბაზები, ქსელები და საკომუნიკაციო სისტემები, ვებ-სისტემები, ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება) და გამოუმუშაოს უნარები მათ გამოყენებაში ადამიანის მოღვაწეობისსხვადასხვა სფეროში, ასევე ამ მიმართულებით კვლევების წარმოებაში.

შედეგი: სამაგისტრო ხარისხის მოპოვების შედეგად მსმენელს შეეძლება ადამიანის მოღვაწეობის კონკრეტული სფეროსათვის სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად დასვას ამოცანა, შეარჩიოს დარგობრივი გადაწყვეტილების და ამოცანის შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტები (თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე) და მოახდინოს მისი რელიზება.

დასაქმების სფეროები: სამეცნიერო-საგანამანათლებლო დაწესებულებები, საბანკო-საფინანსო დაწესებულებები, სხვადასხვა კავშირგაბმულობის დაწესებულებები, ჯანდაცვის ორგანიზაციები, სამეწარმეო ორგანიზაციები, სატრანსპორტო სამართავი სისტემები და სხვ.